საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004062

„ 9 “ ოქტომბერი 2024 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ეკო ნიგით“ (ს/კ 204939458)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ქ. რუსთავი, სამრეწველო ზონის ტერიტორია, იაღლუჯის მ/ც. [illegible]
რეზელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მი
მინიჭების 2021 წლის 23 აპრილის №2-531 ბრძანებით გაცემული
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. (სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №91; 03.11.2003)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ოქმით №004062
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ობიექტი N004062 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 გვერდი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის და 79⁷ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

იმერეთის მთავარი-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი [illegible]

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 24 აპრილის №DES02300000122 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტში განთავსებული, შპს „გეო-ნიტრო"-ს (ს/კ 204999458) კუთვნილი სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების (ANFO-ს და HEAVY ANFO) წარმოების ქარხნის ფუნქციონირებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის №2-531 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2003 წლის 3 ნოემბრის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის №91 დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს 2003 წლის 3 ნოემბრის № 91 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად. კერძოდ:

1.1. კომპანიას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე არ ჰქონდა შემუშავებული ავარიული სიტუაციების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები, თითოეულ ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული და ან ფიზიკური პირების მითითებით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლის 12 ივნისით;

1.2. კომპანიას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე არ ჰქონდა შემუშავებული ავარიული სიტუაციების შემთხვევაში საჭირო ქმედებების ღონისძიებათა გეგმა, ავარიის ლოკალიზების, საძიებო სამაშველო სამსახურის ქმედებების და პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებების გათვალისწინებით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლის 12 ივნისით;

1.3. კომპანიას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე არ ჰქონდა შემუშავებული ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფის მიერ შემუშავებული და მათ მიერ განხორციელებული ქმედებათა გეგმა. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლის 12 ივნისით;

1.4. კომპანიას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე არ ჰქონდა შემუშავებული ავარიის ლიკვიდაციის ოპერატიული გეგმა. თითოეული საკითხის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან ფიზიკური პირის მითითებით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლის 12 ივნისით;

1.5. კომპანიას საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე არ ჰქონდა შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) პროგრამა, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან ფიზიკური პირების მითითებით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი დათარიღებულია 2023 წლის 12 ივნისით;

2. კომპანიის მიერ, საწარმოში არ ხორციელდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება;

3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენები საწარმოო შენობებიდან უნდა იქნას შეგროვებული ნაგვის კონტეინერებში და შემდგომ გატანილი დასუფთავების სამსახურის მიერ, კონტრაქტის საფუძველზე, რაც კომპანიის მიერ არ არის შესრულებული;

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმო უნდა ახორციელებდეს საკანალიზაციო რეზერვუარში შეგროვებული ფეკალური წყლების გატანას. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ხელშეკრულება;

5. კომპანიას არ გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ტექნოლოგიური მოწყობილობის გარეცხვის შედეგად მოგროვილი წყალი, რომელიც ჩაედინება ჩამდინარე წყლის რეზერვუარში, გატანილი უნდა იქნას შესაბამისი სამსახურის მიერ, თუმცა კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულება;

7. შპს "გეო-ნიტრო"-ს არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმებული "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი".

8. ასევე დადგინა, რომ შპს „გეო-ნიტრო“ საქმიანობას ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით. კერძოდ:

   8.1. განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „გეო-ნიტრო“ საქმიანობის განხორციელების პროცესში ნედლეულის (ამონიუმის ნიტრატი, წყალი, ნატრიუმის სილიკატი, ან პოლისტიროლი საერთო დანიშნულების, დიზელის საწვავი, ბუფერული ხსნარი) გარდა დამატებით იყენებს მინერალურ ზეთს და ემულგატორს ON66;

   8.2. დადგინდა, რომ საწარმოო უბანზე დაფიქსირებული წყლის გამაცხელებელი ბოილერი (erensan-ის ტიპის მოდელი), არ არის ასახული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 18 ივლისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №076572 ოქმი, ხოლო 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №079119 ოქმი. აღნიშნული ოქმები განსახილველად გადაეგზავნა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 9 აგვისტოს №4/ა-417-23 დადგენილებით, შპს „გეო-ნიტრო“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით და 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 7 000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გეო-ნიტრო“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 9 ოქტომბრის №004062 ადმინისტრაციული მიწერილობა.

შპს „გეო-ნიტრო“-ს (ს/კ 204999458) კუთვნილი, სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების (ANFO-ს და HEAVY ANFO) წარმოების ქარხნის ფუნქციონირებაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის №2-531 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2003 წლის 3 ნოემბრის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის №91 დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „გეო-ნიტრო“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** საწარმოში განათავსოს, სათანადო რაოდენობის და შესაბამისი მარკირების მქონე ჰერმეტულსახურავიანი კონტეინერები/ურნები ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, მუნიციპალური ნარჩენების შემდგომი მართვის (გატანა, განთავსება) მიზნით, ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საკანალიზაციო რეზერვუარში შეგროვებული ფეკალური წყლების გატანასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, მზა პროდუქციის შესანახ მიწისქვეშა საწყობში ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მოწყობა, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის სრულად დანერგვის მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ტექნოლოგიური მოწყობილობის გარეცხვის შედეგად შეგროვებული ჩამდინარე წყლის გატანასთან დაკავშირებით, შესაბამის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

6. გზშ სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში,** ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებული ცვლილებებისა და საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეიმუშაოს და

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“, ხოლო შეთანხმების შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

7. ამასთან, ვინაიდან ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში შეცვლილია ექსპლუატაციის პირობები (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-8 პუნქტი), შპს „გეო-ნიტრო“ ვალდებულია **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** მიმართოს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკრინინგის განცხადებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.